პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- ივნისი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კინომსახიობის ლიკა ქავჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს კინომსახიობის ლიკა ქავჟარაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


26 მაისის ბულვარი
26 მაისის ბულვარი
26 მაისის ბულვარი
26 მაისის ბულვარი
ბიბლიოთეკის ქუჩა
ბიბლიოთეკის ქუჩა
ბიბლიოთეკის ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032415127**
თარიღი: **30/05/2024**

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 28 მაისს გამართულ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განხილული იქნა საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან არსებული სკვერისთვის ლიკა ქავჟარაძის სახელის მინიჭების საკითხი. კომისიამ ხსენებულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობა სკვერისთვის სახელის საგამონაკლისო წესით მინიჭებასთან დაკავშირებით.

მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ კომისიის გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ლიკა ქავჟარაძე

(1959-2017)

კინომსახიობი, ცნობილია მთავარი როლით თენგიზ აბულაძის ფილმიდან „ნატვრის ხე“.

დაიბადა 1959 წელს. ხუთი წლიდან მუსიკას ეუფლებოდა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა ფორტეპიანოს განხრით.

12 წლიდან დაიწყო კინოკარიერა — 1972 წელს მიიწვიეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. ამავე ასაკში მოკლემეტრაჟიან ფილმ „შადრევანში“ გადაიღეს. შემდეგ იყო „როცა აყვავდა ნუში“, „მშვენიერი კოსტიუმი“ და სხვა ფილმები.

კინოში განსახიერებულ ოცდაათამდე როლის მიუხედავად, განსაკუთრებული აღიარება მას თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში“ შესრულებულმა მარიტას როლმა მოუტანა. თავად ამბობდა: „მარიტამ მართლაც რომ წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ჩემს კარიერაში, არამედ, ზოგადად, ცხოვრებაში. იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ ბევრ ფილმში ვითამაშე, „ნატვრის ხე“ მაინც სხვა იყო. დღემდე სწორედ ამ ფილმით მიხსენებენ. მარიტას როლი ცხოვრების ბოლომდე გამყვება“.

2012 წელს გამოჩნდა შოთა კალანდაძის ეროტიკულ ფილმში „მედუზა გორგონა“. თავად მას აღწერდა, „როგორც ესთეტიკურად გადაღებულ სასიყვარულო სცენებს“.

მისი პირველი მეუღლე იყო სანდრო თაქთაქიშვილი. 1993-1994 წლებში ოჯახი აშშ-ში გაემგზავრა, სადაც სანდრო მუშაობდა, მაგრამ მსახიობმა იქ ხანგრძლივი პერიოდით დარჩენა ვერ შეძლო და უკან დაბრუნდა. მეორედ ლიკამ იქორწინა ლევან შანიძესთან, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა დაშორების შემდეგაც შეინარჩუნა.

გარდაიცვალა 2017 წლის 11 ოქტომბერს, 57 წლის ასაკში.

ფილმოგრაფიიდან აღსანიშნავია:

1972წელი „შადრევანი“ რეჟ. თეიმურაზ ბაქრაძე

1972წელი „როცა აყვავდა ნუში“ რეჟ. ლანა ღოღობერიძე

1973წელი „მშვენიერი კოსტუმი“ (ელისო) რეჟ. ლიანა ელიავა

1975წელი „სიყვარული, ივერია და...“ რეჟ. ზაალ კაკაბაძე

1976წელი „ნატვრის ხე“ (მარიტა) რეჟ. თენგიზ აბულაძე

1977წელი„პეპელა“ (გოგონა) რეჟისორები ნელი ნენოვა, გენო წულაია

1982წელი „დიმიტრი II“ (დედოფალი ნანა)რეჟ. რამაზ ხოტივარი

1983წელი „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ რეჟ. ელდარ შენგელაია

1985წელი „ოჯახი“ (ქეთი) რეჟ. ნანა ჯანელიძე

1986წელი „არგონავტები“ (მედეა) რეჟ. ევგენი გინზბურგი

1986წელი „ჭიდაობას რა უნდა“ (გიული) რეჟ. მიხეილ ჭიაურელი

1990Ж ჩვენი კეთილმოწყობილი საზოგადოება .რეჟ. ოთარ ლითანიშვილი

1990წელი „სპირალი“ (ლია რამიშვილი) რეჟ. გიული ჭოხონელიძე

1992წელი „უძინართა მზე“ რეჟ. თემურ ბაბლუანი

1994წელი „ჩაკლული სული“ (ნატო წერეთელი) რეჟ. ყარამან მგელაძე

2012წელი „მედუზა გორგონა“ რეჟ. შოთა კალანდაძე

2012წელი „მარიტას გარდაცვალება“ რეჟ. შოთა კალანდაძე

2014წელი „მხატვრის მუზები“ რეჟ. შოთა კალანდაძე